

ერთგულების მოვალეობის ახალი სამართლებრივი კონტექსტი
კონკურენციის აკრძალვისა და ინტერესთა კონფლიქტის ჭრილში
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელი პირების
მაგალითზე

ეკატერინე ყარყარაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეკატერინე ყარყარაშვილი

2022 წელი

აბსტრაქტი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხია ხელმძღვანელი ორგანოს მიერ დარღვეული ერთგულების მოვალეობა, შესაბამისად ამ მოვალეობის კავშირი ინტერესთა კონფლიქტთან და კონკურენციის აკრძალვის ინსტიტუტთან. ერთგულების მოვალეობა საკორპორაციო სამართალში იცავს, როგორც კორპორაციის ინტერესებს, ისე მის ბიზნეს შესაძლებლობებს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სამეწარმეო საზოგადოების ფუნქციონირების დროს. აღნიშნული ვალდებულების გამართული ფუნქციონირება და გამოყენება აუცილებელია კორპორაციის სრულფასოვანი ინტერესების დაცვისათვის. ხოლო, ქვეყნაში კი, უსაფრთხო კორპორაციული მართვის ჩამოსაყალიბებლად.

აღნიშნული ვალდებულების მთავარ მიზანს წარმოადგენს დაიცვას სამეწარმეო საზოგადოება ინტერესთა კონფლიქტის დროს წარმოშობილი კონკურენციის აკრძალვის პირობებში ხელმძღვანელის არაკეთილსინდისიერი ქმედებისაგან. რაც მიიღწევა ხელმძღვანელის მხრიდან პირადი ინტერესების დაჩრდილვით და საწარმოს ინტერესების შესაბამისად მოქმედებით. საწარმოს ინტერესებში კი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით მოიაზრება სამეწარმეო საზოგადოების ეკონომიკური სარგებელი. შპს-ში კორპორაციული მართვის დროს, პრობლემები მაშინ იჩენს თავს, როდესაც სახეზე გვაქვს აშკარა ინტერესთა კონფლიქტი და კონკურენციის აკრძალვა, დასადგენია დაირღვა თუ არა ხელმძღვანელის მიერ მისი ერთგულების მოვალეობა. აღნიშნული კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოს „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის მიხედვით, დადგინდეს რა დროს ჩაითვლება ერთგულების მოვალეობა დარღვეულად ხელმძღვანელის მხრიდან და რა პრობლემური საკითხები შეიძლება წარმოიშვას ერთგულების მოვალეობის დარღვევის დროს. ამასთანავე, განხილულია ხელმძღვანელის უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები, ის კრიტერიუმები რა დროსაც არ ჩაითვლება ხელმძღვანელის მხრიდან ერთგულების მოვალეობა დარღვეულად. მოცემული კვლევის დროს გამოყენებულ იქნა ისტორიულ-სამართლებრივი, შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, შეფასების მეთოდი და სასამართლო პრაქტიკა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ახალი „მეწარმეთა შესახებ“ კანონი

ევროკავშირის დირექტივების, მასთან ჰარმონიზაციის შედეგად წინა რედაქციის კანონთან შედარებით ზუსტ საფუძვლებს გვიყალიბებს ერთგულების მოვალეობის საფუძვლების დარღვევასთან დაკავშირებით. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ერთგულების მოვალეობის შემადგენელი ვალდებულებები და კრიტერიუმები არც თუ ისე ნაცნობი იყო ქართული კორპორაციული მართვსთვის შპს-ში, შეიძლება ითქვას, რომ ბოლომდე შესწავლილი არ არის ამ საკითხის ფუძემდებლური აზრი. ნაშრომში არის მცდელობა იმისა, რომ გამოიკვეთოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის არსებული რედაქციის საკანონმდებლო ხარვეზები და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რეკომენდაციები ამ საკითხთან დაკავშირებით. რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

საკვლევი თემის საკვანძო სიტყვები: ინტერესთა კონფლიქტი, კონკურენციის აკრძალვა კორპორაციული მართვა, კაპიტალური საზოგადოება, ერთგულების მოვალეობა.

Abstract

One of the most important and problematic issues in a limited liability company is the duty of fidelity violated by the governing body, hence the connection of this duty with the conflict of interest and the institution of competition prohibition. The duty of fidelity in corporate law protects both the interests of the corporation and its business opportunities, which is most important in the functioning of the business community. The proper functioning and application of this obligation is essential to protect the full interests of the corporation. And, in the country, to establish secure corporate governance.

The main purpose of this obligation is to protect the business community from the unscrupulous actions of the manager in the conditions of prohibition of competition arising during a conflict of interest. Which is achieved by overshadowing the personal interests of the manager and acting in accordance with the interests of the enterprise. In the interests of the enterprise, the economic law of the entrepreneurial society is considered by the Law of Georgia on Entrepreneurs.

In corporate governance in an LLC, problems arise when we are faced with an obvious conflict of interest and a ban on competition, to determine whether a manager's duty of fidelity has been violated. The main goal of this study is to determine, according to the new Law of Georgia on Entrepreneurs, when the duty of fidelity will be considered violated On the part of the supervisor and what problematic issues may arise during the breach of the duty of fidelity. In addition, the legal mechanisms for the protection of the rights of the leader are discussed, the criteria for which the duty of fidelity on the part of the leader will not be considered violated. Historical-legal, comparative-legal research method, evaluation method and court were used during the given research Practice. The study revealed that the new Law on Entrepreneurs, as a result of harmonization with the EU directives, lays down precise grounds for breach of the principles of fidelity compared to the law of the previous version. However, given that the obligations and criteria that constitute a duty of fidelity do not It was so familiar to Georgian corporate governance in the LLC, it can be said that the fundamental opinion on this issue has not been fully studied. The paper attempts to highlight the legislative gaps in the current version of the Law on

Entrepreneurs and to formulate relevant recommendations on this issue. Which will help to establish a uniform case law in the country.

Keywords of the research topic: Conflict of interest, prohibition of competition, corporate governance, capital society, duty of loyalty.